საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბღიის მღვიმე

ბღიის მღვიმე, კარსტული შახტი გუდაუთის რ-ნის ტერიტორიაზე, ბზიფის კირქვულ მასივზე, 1750 *მ* სიმაღლეზე. გამომუშავებულია ქვედაცარცულ სქელშრეებიან კირქვებში. მღვიმეში ჩასასვლელი ადგილ „ბღიის“ მიდამოებშია. გეგმაში მღვიმეს ლაბირინთოვანი, ხოლო ჭრილში – კასკადური აღნაგობა აქვს. ცალკეული შიგა ჭების სიღრმე 6-იდან 60 *მ*-მდეა; ჭები ერთმანეთს ებმის მოკლე, დამრეცფსკერიანი მაღალი დერეფნებით. მღვიმე აგეგმილია 210 *მ*, სიღმრემდე. აქვს განშტოებები. ჯამური სიგრძე 370 *მმ* მოცულობა 5400 $м^3$. დაბალ იარუსზე გაედინება ნაკადული. მღვიმის ზედა ნაწილში კარგად შეიმჩნევა მდნარი თოვლის წყლების ზემოქმედების კვალი.

ზ. ტატაშიძე (*ტინტილოზოვი*)